

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია/Chemistry
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიის ბაკალავრი/Bachelor of Chemistry
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ირინა ბეჟანიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: irina.bejanidze @bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ქიმიის დარგის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ქიმიის ძირითად სასწავლო კურსებში: არაორგანულ, ანალიზურ, ორგანულ, ფიზიკურ ქიმიაში და შეძლებს ქიმიური პროცესების მექანიზმების გაცნობიერებას და კრიტიკულ გააზრებას; ✓ შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, კერძოდ, ლაბორატორიული კვლევების ჩატარების, ანალიზისა და განზოგადების, ლოგიკური დასკვნების გამოტანის, ინფორმაციის მოპოვების, გუნდური მუშაობის, პროექტის, რეფერატის და პრეზენტაციის მომზადებისათვის აუცილებელი უნარ - ჩვევების გამომუშავება; წინასწარი მითითების შესაბამისად კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის უნარის, ლაბორატორიულ მოწყობილობათა და რეაქტივების უსაფრთხო გამოყენების უნარ - ჩვევების გამომუშავება; ✓ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, კომუნიკაბელური, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის - ქიმიის ბაკალავრის მომზადება, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მომავალი პროფესიის არსი, შემდგომი სწავლის საჭიროება და შეძლებს თავის საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღებას.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ბაკალავრს აქვს ცოდნა ქიმიის ძირითად სასწავლო კურსებში, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს; იცის ქიმიური ელემენტების ნაერთები და თვისებები, არაორგანულ და ორგანულ ნაერთთა კლასები, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის პრინციპები, პირობები და მექანიზმები, ქიმიური და ფაზური წონასწორობა, ფიზიკურ - ქიმიური, ნაწილ- და დისპერსიული სისტემები, მათი დაყოფის და კვლევის მეთოდები; გაცნობიერებული აქვს ძირითადი ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესების კანონზომიერებები და გარემოს ქიმიურ დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემები; ცოცხალ მატერიაში მიმდინარე ქიმიური პროცესები და ბუნებრივ ნაერთთა გარდაქმნის მექანიზმები;

	<ul style="list-style-type: none">✓ ბაკალავრს აქვს ქიმიურ ნივთიერებებთან და ხელსაწყოებთან უსაფრთხო მუშაობის, ლაბორატორიული კვლევების ჩატარების, ანალიზისა და განზოგადების უნარი, წინასწარი მითითებით ექსპერიმენტის განხორციელება სტანდარტული (ქიმიური, ფიზიკური, ფიზიკურ - ქიმიური) და ზოგიერთი სპეციფიკური (ნარევთა დაყოფის) მეთოდების გამოყენებით, ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე დაკვირვება, მონაცემების შეგროვება, მათემატიკური და კომპიუტერული დამუშავება, აბსტრაქტული აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა, შედეგების გაანალიზება და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება;✓ შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის შედეგების შესახებ წერილობითი ან ზეპირი ფორმით დავალების მომზადება და წარდგენა სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, კამათი და საკუთარი აზრის დასაბუთება;✓ აქვს დამოუკიდებლად ცოდნის განახლების უნარი, შეუძლია მიღებული ცოდნის საფუძველზე ქიმიის მიმართულებით საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება ეთიკის პრინციპების დაცვით.
--	---